15/06/2022

წმინდა მოწამენი ლუკილიანე და მოყვასნი მისნი: კლავდი, იპატი, პავლე, დიონისე და ქალწულმოწამე პავლა (+270-275) – 3 ივნისი (16 ივნისი)

იმპერატორ აურელიანეს (270-275 წლები) ზეობისას ნიკომიდიის მმართველს, სილვანს მოახსენეს, – მოქალაქეთა უმრავლესობამ ზევსის და არესის თაყვანისცემაზე უარი თქვა და ქრისტიანობა მიიღოო, მათი რიცხვი კატასტროფულ მასშტაბებს აღწევს და მათ მაგალითს თვით წარმართმა ქურუმმა, ლუკილიანემაც მიბაძა და მეორე წელია, რაც ჩვენს ღმერთებს აღარ ესავსო!

შლეგქმნილმა ხელმწიფემ მყისვე ბრძანა, – მსხვერპლ-შეწირვისთვის ყოველივე მოამზადეთ, ხოლო ვინც ლუკილიანეს აქ პირველი მომგვრის, პირველ ჩინოვნიკობას ვუბოძებო!

მაშინ ერთმა ფულით მოქრთამულმა იუდეველმა ის ადგილი უჩვენა, სადაც ნეტარი სხვა მორწმუნეებთან ერთად იკრიბებოდა.

ხელისუფალმა მყისვე აფრინა მრავალრიცხოვანი რაზმი ურჩთა შესაპყრობად.

მეორე დილისთვის ლუკილიანე სხვა ქრისტიანთაგან გა¬მოარჩიეს და სილვანს ბაზრის მოედანზე ცალკე წარუდგინეს.

ამ უკანასკნელმა საშინელი მუქარით უბრძანა:

– ქრისტე უარჰყავ და კვლავ გადმოჩვენიანდი, ღმერთებს მსხვერპლი საჯაროდ შესწირე, თორემ ვერა გიხსნისო!

– არა მიწიერი არ აღემატება ჩემს უფალს და იმ იმედს, რაც მასში ვპოვე, ამიტომ არც თქვენი მუქარა მიღირს რამედ და არც მაგ უსულო კერპთ ვცემ თაყვანს, ისეც მრავალი წელი დავკარგე მათ დამღუპველ სამსახურში. ახლა კი რაცა გსურს, ისა ჰქმენ და რაც შეიძლება, სწრაფად, რამეთუ გადაწყვეტილებას ვერაფერი შემაცვლევინებსო!

ხელმწიფის ბრძანებით ნეტარს სახე დაუსერეს და მიწაზე გართხმული ორ საათს გვემეს, შემდეგ კი – ფეხებით და¬კიდეს, თუმცა, მარტვილი წამებას თითქოს ვერ გრძნობსო, სილვანს კი სატანის მსახურად და ღვთის მტრად იხსენიებდა.
მაშინ ერთმა ფილოსოფოსმა, კრისპმა სილვანს შესთავაზა, – ეს საქმე, რაც შეიძლება, მალე მოვათაოთ, რომ სხვათათვის მაგალითად არ იქცესო.

მისივე რჩევით, ხელისუფალმა ლუკილიანე დილეგში გამოკეტა, სადაც ოთხი ბიჭუნა დახვდა: კლავდი, იპატი, პავლე და დიონისე, მასავით რწმენის გამო რომ შეეპყროთ.

ლუკილიანეს დანახვაზე ბავშვები ფეხებში ჩაუვარდნენ და სთხოვეს:

– ჩვენთვის ილოცე, რომ უფალმა შენთან ერთად ღირსგვყოს მოწამეობისაო!

განთიადისას ხუთივე არესის ტაძარში მიიყვანეს, სადაც სილვანი ელოდათ და კერპთათვის მსხვერპლის შეწირვა კიდევ ერთხელ უბრძანა, – თუ ამას არ იქმთ, კოცონზე ამოგბუგავთო!

ლუკილიანე კი მიუგებდა:

– რაცა გსურს, ის შემამთხვიე, ამქვეყნიური, განქარვებადი ცეცხლით ვერას მავნებო, რაც ბავშვებმაც გაიმეორეს.

მაშინ მტარვალმა მათთვის კოცონის განმზადება და ხუთივეს მდუღარე წყალში ჩაყრა ბრძანა, თუმცა, უფალმა ღუმელში ცეცხლი ჩააქრო და მარტვილთ ცეცხლით არა ევნოთ.

სილვანის ბრძანებით, ქრისტიანენი ზევსისთვის მსხვერ¬პლის შესაწირად ქალკედონს გაგზავნეს. ბავშვებს კი სანაცვლოდ მდიდრულ ძღვენს და ძვირფას სამოსს შეჰპირდა, თუმცა, ბიჭუნები იმეორებდნენ:

– დაე, შენი საჩუქრები შენთან ერთად დაინთქას ჯოჯოხეთშიო!

ცოფქმნილმა ტირანმა ისღა მოიფიქრა, მარტვილნი ბიზანტიას გაეგზავნა, სადაც ოთხ ბიჭუნას თავები წარკვეთეს, ლუკილიანე კი ხელებით, თავით, მუხლებით, გენიტალიებით და მკერდით მიწაზე დაალურსმეს.

ნორჩი, კეთილშობილი ქალწული, სახელად პავლა, წარმართთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად,...

ტყვედქმნილ ქრისტიანთ შეეწეოდა. იგი მყისვე დაასმინეს და ნიკომიდიას შეიპყრეს.

პავლამ დაუფარავად აღიარა, რომ ლუკილიანეს წყალობით გაქრისტიანდა.

მაშინ ათმა ადამიანმა მორიგეობით უწყო გვემა, ის კი ფსალმუნის სიტყვებს გალობდა...

ქალწული ვერაფრით მოდრიკეს და იქამდე ურტყეს, სანამ ხელ-ფეხი არ დაუმსხვრიეს.

პავლას ბაგეს ლოცვა და ღვთის სამადლობელი არ მოსცილებია, უფლის ანგელოზმა კი სასწაულებრივად განამრ¬თელა და აუწყა, რომ მის განსამტკიცებლად ცეზაში ოთხი მოწამე ლოცულობდა.

ქალწული კვლავ სილვანს მიჰგვარეს, სადაც კიდევ ერ¬თხელ დაამოწმა თვისი სიმტკიცე.

მას ყბები დაუმსხვრიეს და კვლავ დილეგს უკრეს თავი, შემდეგ კი ისევ ცეცხლს მისცეს, თუმცა, ანგელოზისგან დაცული მოწამე კვლავ უვნებელი რჩებოდა.

მაშინ მოწამე ბიზანტიის მახლობლად, იმ ადგილას მიიყვანეს, სადაც ლუკილიანე ევნო და თავი წარკვეთეს.

* * *

ხსენება ღვთისმოყვარე მეფისწულის, დიმიტრის (+1591) წმინდა ნაწილთა გადაბრძანებისა უგლიჩიდან მოსკოვს (+1606 წელს)

* * *

ხსენება ღირსისა პაპისა, რომელმან მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს

* * *

ხსენება ღირსმოწამისა კვიპრიანესი (ნელიდოვი, მღვდელ-მონაზვნისა, +1934) და მღვდელმოწამისა მიხეილისა (მარკოვი, პრესვიტერი, +1938)

karibche.ambebi.ge